შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის

დებულება

2023-2024

მუხლი 1. შესავალი

მშობლის მონაწილეობა შვილის განათლების პროცესში მოსწავლის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევითა და სკოლისადმი კეთილგანწყობით. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებზე, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მოსწავლეებზე.

წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მასწავლებელსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაციაა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლი წარმოადგენს მოსწავლეს სკოლასთან და მესამე პირებთან ურთიერთობის დროს.

მუხლი 3. მიზნები

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულების მიზნებია:

1. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;
2. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა;
3. მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების და სხვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე;
4. მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე;
5. მოსწავლეთა ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
6. კეთილგანწყობილი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
7. სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების ხელშეწყობა;

მუხლი 4. მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას:

მასწავლებელი/დამრიგებელი ვალდებულია:

1. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ჩამოაყალიბოს ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა;
2. შეხვდეს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დადებითი განწყობით და სათანადო დრო გამოჰყოს მასთან საუბრისთვის;

3. დამრიგებელი ვალდებულია ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მიაწოდოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დადგენილი დროისა და პირობების შესაბამისად;
4. დროულად მიაწოდოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე;
5. ხელი შეუწყოს მშობელთა აქტიურ ჩართულობას და წაახალისოს სასარგებლო ინიციატივები;
6. წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციის ფორმის შესაბამისად ინტენსიურად ეკონტაქტოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს;
7. მშობელთან ურთიერთობის დროს (მიმოწერისას ან საუბრისას) პირველ რიგში მოსწავლის დადებითი მხარეები წარმოაჩინოს და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილოს პრობლემური საკითხები.
8. მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს არ დაუშვას მოსწავლის ღირსებების შელახვა, უხეშობა.
9. სასწავლო წლის დასაწყისშივე მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში სავარაუდო შედეგების შესახებ.

მუხლი 5. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები

5.1 სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ხელშეკრულების გაფორმებით მხარეებს წარმოეშობათ ურთიერთვალდებულებები.

5.2. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებია:

5.2.1. უზრუნველყოს შვილისათვის სწავლისა და აღზრდის შესაბამისი პირობები.
5.2.2. უზრუნველყოს მოსწავლის დასწრება გაკვეთილებსა და სავალდებულო სასკოლო აქტივობებზე/ღონისძიებებზე;
5.2.3. გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში წინასწარ შეატყობინოს დამრიგებელს;
5.2.4. ხელი შეუწყოს შვილს სწავლაში და აკონტროლოს მისი მომზადების ხარისხი;
5.2.5. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები;
5.2.6. აქტიურად ითანამშრომლოს სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაცისთან;
5.2.7. შეასრულოს ამ დებულებით, სკოლის შინაგანაწესით და დირექტორთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;
5.2.8. შეასრულოს კანონმდებლობის მოთხოვნებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები სკოლის წინაშე;
5.2.9. აანაზღაუროს მისი ან/და მისი შვილის მიერ სკოლისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

5.3. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებია:

5.3.1. მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილე პირებისაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება;
5.3.2. მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციისაგან სკოლის

ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია მისი შვილის სწავლა-განათლებასთან;

5.3.3. მოითხოვოს მოსწავლის ობიექტური შეფასება;

5.3.4. მოითხოვოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სხვადასხვა აქტივობებში/ღონისძიებებში ჩართულობის თაობაზე;

5.3.5. მოითხოვოს ნებისმიერი საკითხის განხილვა მშობელთა კრებაზე.

მუხლი 6. მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი

6.1. დამრიგებელი სემესტრის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწყობს შეხვედრას მშობლებთან.

6.2. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ყოველ პარასკევს (14:00 საათიდან 17:00 საათამდე) მოვიდეს სკოლაში და გაესაუბროს დამრიგებელსა და მასწავლებლებს.

მუხლი 7. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა

7.1. სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება მშობლებთან შეხვედრებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით;

7.2. შეხვედრები მშობელს, მოსწავლესა და მასწავლებელს/დამრიგებელს შორის, მიზნად ისახავს მოსწავლის მხარდაჭერასა და წახალისებას სასწავლო პროცესში. შეხვედრებისას ხდება სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გაზიარება.

7.3. თითოეულ კლასში მშობლებთან სავალდებულო შეხვედრა ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს;

7.4. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევასთან და სასწავლო პროცესში დასახული მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე;

7.5. საგნის მასწავლებელს სკოლის დირექტორთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით უფლება აქვს დაიბაროს სკოლაში მშობელი;

7.6. სკოლაში განთავსდება „განცხადებების დაფა“, სადაც განთავსდება მშობლისათვის საინტერესო ინფორმაცია, სიახლეები, დაგეგმილი შეხვედრებისა და ღონისძიებების გრაფიკი;

7.7. მასწავლებელი არჩევს მშობლისთვის სასურველ კომუნიკაციის საშუალებას (სატელეფონო ზარი, SMS შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, წერილის გაგზავნა და ა.შ.);

7.8. თუ დაბარების მიუხედავად მშობელი ვერ მოდის სკოლაში, მასწავლებელი ვალდებულია სატელეფონო ზარით შეატყობინოს მას მოსწავლის მოსწრებები და საჭიროებები;

7.9. სკოლის ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელის სკოლის გვერდი წარმოადგენს მშობლებთან კომუნიკაციის საშუალების ერთ-ერთ სახეს.

7.10. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, მშობელს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 8. მშობლისათვის/მოსწავლისათვის სავალდებულო მისაწოდებელი ინფორმაცია

8.1 დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- ✓ სახელმძღვანელოების ნუსხა;
- ✓ უსაფრთხოების წესები;
- ✓ სასწავლო პროგრამები;
- ✓ სადამრიგებლო პროგრამა;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ✓ და სხვა.

8.2 პირველ მშობელთა კრებაზე დამრიგებლის მოწვევით, თითოეული საგნის მასწავლებელი მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შეფასების პრინციპებსა და კრიტერიუმებს.

მუხლი 9. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი

9.1 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება მოხდება, იმ ფორმით, რომელსაც აირჩევს მშობელი (სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი და ა.შ.).
9.2 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება მოხდება:

- ✓ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა);
- ✓ ელექტრონული ჟურნალის edupage.org მეშვეობით;
- ✓ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
- ✓ ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;
- ✓ სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ✓ SMS შეტყობინების საფუძველზე;

9.3 მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან სკოლის დირექტორი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს;

მუხლი 10. მშობელთა კითხვარი

სკოლა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ავსებინებს კითხვარს, რომლის საშუალებითაც ადგენს მშობლის ინტერესის სფეროებს, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართულობის მზაობას.

მუხლი 11. ცვლილების შეტანა

11.1 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

11.2 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების

შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.